მარტოობასა და ცხოვრებით კმაყოფილების კავშირის შესწავლა სტუდენტებში

ნინო ცალანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ნინო ცალანი

2021

აბსტრაქტი

მარტოობისა და ცხოვრებით კმაყოფილების განცდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებში. დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის მიერ განცდილი მარტოობის შეგრძნება და ცხოვრებით ზოგადი თუ კონკრეტული სფეროებით კმაყოფილების განცდა.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მოხდა ცხოვრებით კმაყოფილებასა და მარტოობას შორის კავშირის შესწავლა. კვლევაში თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, სქესთა თანაფარდობის დაცვით, მონაწილეობას იღებდა 94 სტუდენტი. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებული იყო კემპბელის ცხოვრებით კმაყოფილების სკალა (SWLS) და ლოს-ანჯელესის, კალიფორნიის უნივერსიტეტის მარტოობის სკალის (UCLA).

მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა მარტოობის კავშირი როგორც ცხოვრებით კმაყოფილებასთან, ასევე მის ცალკეულ განზომილებებთან, თუმცა არ დაადასტურა სქესის კავშირი მარტოობისა და ცხოვრებით კმაყოფილების ცვლადებთან.

საკვანძო სიტყვები: ცხოვრებით კმაყოფილება, მარტოობა, სტუდენტები, სქესი.

Abstract

The feeling of loneliness and experiencing the satisfaction with life play important roles in individual's physical and mental health issues. Nowadays , rising the quality of human's life and improving psychological welfare deserve an attention in public heath sphere , in which experienced feeling of loneliness and undergoing satisfaction with life's general or specific spheres have big roles.

In represented master's work we have studied the connection between satisfaction with life and loneliness. In the research participated 94 students, with taking gender balance into account, from different universities of Tbilisi. As a research instrument has been used Satisfaction With Life Scale (SWLS) by Campbell and Loneliness Scale by University of California, Los Angeles (UCLA).

The reached results had shown the connection as well as with satisfaction with life, also with separate dimensions of it, but the results had not confirmed the connection of the gender with loneliness and satisfaction with life itself.

მადლობა

ნაშრომის წერის პროცესში გაწეული დახმარებისათვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან კახიანს.

ასევე, მადლობას ვუხდი ქალბატონ ირინა ვარდანაშვილს კვლევის მონაცემების პროგრამულ დამუშავებასთან დაკავშირებული რჩევებისათვის.

მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს და მეგობრებს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კურსელს და მეგობარს, ნინო გილაშვილს.